სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 ივნისი 2024

N 21/5726

შპს „გრინ ჰაბ თბილისს“
ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. N26
iraneb70@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი N2612 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „გრინ ჰაბ თბილისის“ მცენარეული საკვები ზეთებისგან ბიოდიზელის საწვავის მიღების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული აღდგენის ოპერაციის კოდი არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის შესაბამისად საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი აღდგენის ოპერაციის კოდი;
- გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ ნორმების პროექტში არ არის შეფასებული გაფრქვევის მაჩვენებლები საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან. რაც საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას და ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში გათვალისწინებას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის გეგმა, სადაც ასევე მითითებული იქნება დამატებით გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებათა ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების საკითხი. გეგმა, ასევე, უნდა მოიცავდეს მონიტორინგის საკითხებს ექსპლუატაციიდან ერთი წლის ვადაში კვარტალში ერთხელ საწარმოს პერიმეტრზე და 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე არსებულ საკონტროლო წერტილებზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, მეთოდის და სიხშირის მითითებით);
- წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში მითითებული საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა (4.5 $მ^3$/დღ) და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური წლიური რაოდენობა (1485.5 $მ^3$/წელ) არასწორად არის გაანგარიშებული. რაც საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას და ასევე, ზდჩ-ის ნორმების პროექტში გათვალისწინებას;

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო